ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ეკონომიკის საერთაშორისო სკოლის (ISET) ინგლისურენოვანი
მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამა „ფინანსები“

პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი

პროგრამის სახელწოდება (ქართულად და ინგლისურად)	Master Program in Finance at International School of Economics at Ivane Javakhishvili Tbilisi State University (ISET) in English ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკის საერთაშორისო სკოლის (ISET) ინგლისურენოვანი სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა „ფინანსებში“
მისანიჭებელი კვალიფიკაცია (ქართულად და ინგლისურად)	**I ნაწილი** **ფინანსების მაგისტრი** **Master of Finance** **II ნაწილი** **ფინანსების კვლევის მაგისტრი** **Research Master of Finance**
პროგრამის მოცულობა კრედიტებით და მათი განაწილება	**სულ: 120 კრედიტი (ECTS)** **ფინანსების სამაგისტრო პროგრამა** ხორციელდება **60+60 კრედიტის (ECTS) მოდელის** საფუძველზე და მოიცავს ორ ნაწილს, რომელიც სტუდენტების პროფესიული და კვლევითი კარიერული მიზნების მხარდაჭერას ემსახურება: **I ნაწილი** მოიცავს **60 კრედიტს (ECTS).** სასწავლო გეგმა შედგება **12 სავალდებულო**

	სასწავლო კურსისგან, რომლებიც უზრუნველყოფს ინტენსიურ პრაქტიკულ და ფუნდამენტურ ცოდნას, მათ შორის **7 ECTS სასწავლო კურსი „შემაჯამებელი პროექტი“ (Capstone Project)**. I ნაწილი მოიცავს სამ ტრიმესტრს, ხოლო თითოეული ტრიმესტრის ხანგრძლივობაა 13 კვირა. **II ნაწილი** ეს არის გაღრმავებული კვლევითი მიმართულება, რომელიც მოიცავს **60 კრედიტს (ECTS).** სავალდებულო კურსები - 37 ECTS არჩევითი კურსები - 8 ECTS სამაგიტრო ნაშრომი - 15 ECTS II ნაწილი მოიცავს სამ ტრიმესტრს, ხოლო თითოეული ტრიმესტრის ხანგრძლივობაა 13 კვირა.
სწავლების ენა	ინგლისური
პროგრამის ხელმძღვანელი	დოქტორი, ასისტენტ - პროფესორი თეიმურაზ გოგსაძე
პროგრამის თანახელმძღვანელი	დოქტორი, ასისტენტ - პროფესორი ლევან ეფრემიძე
პროგრამაზე დაშვების წინაპირობა	**I ნაწილი** ადგილობრივი (საქართველოს მოქალაქე) აპლიკანტებისთვის პროგრამაზე დაშვების წინაპირობებია: ✓ ბაკალავრის აკადემიური ხარისხი. ✓ NAEC–ის მიერ ორგანიზებული საერთო სამაგისტრო გამოცდის წარმატებით ჩაბარება. ✓ ISET-ის მიერ ორგანიზებული შიდა მისაღები კომბინირებული წერითი გამოცდის წარმატებით ჩაბარება ინგლისურ ენაზე, რომელიც მოიცავს მათემატიკისა და საბაზისო ფინანსების კომპონენტებს. ✓ გასაუბრება ინგლისურ ენაზე ISET-ის შიდა მიმღებ კომისიასთან, (წინასწარ განსაზღვრული, გამჭვირვალე შეფასების კრიტერიუმებით

	შეფასების საფუძველზე). გასაუბრების დროს წარმოდგენილი შეკითხვების საფუძველზე აპლიკანტმა უნდა გამოავლინოს ფინანსების სპეციალობით ცოდნის მიღების მოტივაცია.[1] საერთაშორისო (უცხო ქვეყნის მოქალაქე) აპლიკანტებისთვის, საერთო სამაგისტრო გამოცდების გავლის გარეშე პირთა ჩარიცხვის შესახებ წესის[2] შესაბამისად, პროგრამაზე დაშვების წინაპირობებია: ✓ ბაკალავრის აკადემიური ხარისხი. ✓ ISET-ის მიერ ორგანიზებული შიდა მისაღები კომბინირებული წერითი გამოცდის წარმატებით ჩაბარება ინგლისურ ენაზე, რომელიც მოიცავს მათემატიკისა და საბაზისო ფინანსების კოპონენტებს. ✓ გასაუბრება ინგლისურ ენაზე ISET-ის შიდა მიმღებ კომისიასთან, (წინასწარ განსაზღვრული, გამჭვირვალე შეფასების კრიტერიუმებით შეფასების საფუძველზე). გასაუბრების დროს წარმოდგენილი შეკითხვების საფუძველზე აპლიკანტმა უნდა გამოავლინოს ფინანსების სპეციალობით ცოდნის მიღების მოტივაცია.[3] **II ნაწილი** • სამაგისტრო პროგრამის მეორე ნაწილზე დაშვების აუცილებელი წინაპირობაა პროგრამის პირველი ნაწილის წარმატებით დასრულება. • საგანმანათლებლო პროგრამის II ნაწილზე სწავლის გაგრძელების უფლება აქვს ფინანსების მაგისტრის აკადემიური ხარისხის მქონე პირს. აღნიშნულ ნაწილზე სწავლის გაგრძელების დამატებითი პირობები განისაზღვრება უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესაბამისი ძირითადი საგანმანათლებლო ერთეულის დებულებით, საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნების შესაბამისად.

[1] წერითი გამოცდა და გასაუბრება უზრუნველყოფს აპლიკანტის ინგლისური ენის ცოდნის B2 დონის შემოწმებას.

[2] უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ერთიანი ეროვნული გამოცდების/საერთო სამაგისტრო გამოცდების გავლის გარეშე სწავლის უფლების მქონე აბიტურიენტების/მაგისტრანტობის კანდიდატების/სტუდენტების მიერ დოკუმენტების წარდგენისა და განხილვის წესი https://matsne.gov.ge/ka/document/view/1545043?publication=0

[3] წერითი გამოცდა და გასაუბრება უზრუნველყოფს აპლიკანტის ინგლისური ენის ცოდნის B2 დონის შემოწმებას.

საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი	ფინანსებში სამაგისტრო პროგრამის მიზნებია: **I ნაწილი** ✓ ფინანსური სფეროს მაღალკვალიფიციური სპეციალისტების მომზადება, რომლებიც აღჭურვილნი იქნებიან ფინანსების თანამედროვე თეორიის და მეთოდების ცოდნითა და პრაქტიკაში გამოყენების უნარებით; ✓ ფინანსებში საერთაშორისო დონეზე კონკურენტუნარიანი პროფესიონალების მომზადება, რომლებიც უახლესი ტექნოლოგიებისა და დარგში ინოვაციების გათვალისწინებით შეძლებენ გააანალიზონ და გაუმკლავდნენ ფინანსების სფეროში არსებულ თანამედროვე ადგილობრივ თუ გლობალურ პროფესიულ გამოწვევებს. **II ნაწილი** ✓ კურსდამთავრებულების აღჭურვა მაღალი სტანდარტის პროფესიული ეთიკით და პასუხისმგებლობით, რომელიც მისცემს მათ საშუალებას წვლილი შეიტანონ საქართველოში, რეგიონსა და მის ფარგლებს გარეთ საზოგადოების განვითარებაში საჯარო და კერძო სექტორის ფინანსური მართვის გაუმჯობესების კუთხით; ✓ კურსდამთავრებულების აღჭურვა აკადემიური კვლევის უნარებით და მათი მზაობის უზრუნველყოფა სადოქტორო საფეხურზე სწავლის გაგრძელებისათვის.
სწავლის შედეგები	
ა) ცოდნა და გაცნობიერება	სამაგისტრო პროგრამის კურსდამთავრებულს შეუძლია: **I ნაწილი** ✓ ფინანსური ფუნდამენტური ცნებების, კონცეფციებისა და ინსტრუმენტების სისტემური გააზრება; ✓ ცენტრალური ბანკების, საერთაშორისო ფინანსური ინსტიტუტების, სუვერენული და კერძო საინვესტიციო ფონდების საქმიანობის ანალიტიკური და კრიტიკული მიმოხილვა. **II ნაწილი**

	✓ ფინანსურ სექტორში უახლესი მიღწევებისა და ინოვაციების საფუძველზე ფინანსურ და ეკონომიკურ ცვლადებს შორის ურთიერთდამოკიდებულებების სიღრმისეული გააზრება.
ბ) უნარები	სამაგისტრო პროგრამის კურსდამთავრებულს შეუძლია: **I ნაწილი** ✓ ფინანსური კონცეფციების და ინსტრუმენტების გამოყენება გადაწყვეტილებების მიღების პროცესში; ✓ ფინანსური ბაზრების, კაპიტალის ბაზრის, ცენტრალური ბანკების, საერთაშორისო ფინანსური ინსტიტუტების, სუვერენული და კერძო საინვესტიციო ფონდების საქმიანობის ანალიზი; ✓ სტრატეგიულად მნიშვნელოვანი ფინანსური საკითხების დაგეგმვა და პროცესების მართვა კორპორატიული მართვის ინსტრუმენტების გამოყენებით; ✓ ფინანსების სფეროში ტექნოლოგიური და სხვა ინოვაციური და მულტიდისციპლინური მიდგომებისა და მეთოდების ადაპტაცია და გამოყენება პრაქტიკული პრობლემების გადასაჭრელად. **II ნაწილი** ✓ კვლევის ჩატარება აკადემიური პატიოსნებისა და ეთიკის სტანდარტების გათვალისწინებით და მიღებული შედეგების წარდგენა/პრეზენტაცია დაინტერესებული მხარეებისთვის, როგორც ზეპირად, ასევე წერილობით ინგლისურ ენაზე.
გ) პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა	სამაგისტრო პროგრამის კურსდამთავრებულს შეუძლია: **I ნაწილი** ✓ უწყვეტი პროფესიული განვითარების ავტონომიურად წარმართვა; ✓ ანალიზის შედეგად მიღებული შედეგების და მოსაზრებების დაცვა ოპონირების პირობებში; ✓ დამოუკიდებელი გადაწყვეტილებების მიღება. **II ნაწილი** ✓ ფინანსების სფეროში აკადემიური/მეცნიერული კვლევის დამოუკიდებლად დაგეგმვა, სათანადო მეთოდების შერჩევა და წარმართვა; ✓ მაღალი სტანდარტის პროფესიული ეთიკისა და აკადემიური

	კეთილსინდისიერების პრინციპების დამოუკიდებლად დაცვა როგორც პრაქტიკულ საქმიანობაში, ისე კვლევის პროცესში; ✓ დამოუკიდებელი გადაწყვეტილებების მიღება.
სწავლება-სწავლის მეთოდები	მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამაზე **ფინანსები (ნაწილი I)** გამოიყენება სწავლა-სწავლების შემდეგი მეთოდები: ✓ ლექციები ✓ პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება ✓ ჯგუფური / ინდივიდუალური მუშაობა ✓ პრაქტიკული მუშაობა ✓ ანალიზი ✓ დისკუსია/დებატები ✓ შემთხვევების შესწავლა (Case study) ✓ პრეზენტაცია/დემონსტრირება მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამაზე **ფინანსები (ნაწილი II)** გამოიყენება სწავლა-სწავლების შემდეგი მეთოდები: ✓ ლექციები ✓ პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება ✓ ჯგუფური / ინდივიდუალური მუშაობა ✓ წერითი მუშაობა ✓ პრაქტიკული მუშაობა ✓ ანალიზი ✓ დისკუსია/დებატები ✓ შემთხვევების შესწავლა (Case study) ✓ პრეზენტაცია/დემონსტრირება ✓ ჯგუფურიდა/ან ინდივიდუალური კვლევითი პროექტის დაგეგმვა და განხორციელება ხელმძღვანელის კონსულტირებით;
შეფასების სისტემა[4]	მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამაზე **(ნაწილი I)** სტუდენტების შეფასება ხდება 100 ქულიანი სისტემის საფუძველზე. შეფასების თითოეულ

[4] პროგრამის საფეხური, პროგრამის სწავლის შედეგები, შინაარსი, სწავლა-სწავლების მეთოდები და შეფასების სისტემა ბმაში უნდა იყოს ერთმანეთთან და უზრუნველყოფდეს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას

ფორმასა და კომპონენტს შეფასების საერთო ქულიდან (100 ქულა) განსაზღვრული აქვს ხვედრითი წილი საბოლოო შეფასებაში, რაც აისახება კონკრეტულ სილაბუსში.

შეფასებათა სისტემა ითვალისწინებს ხუთი სახის დადებით შეფასებას:
ა) (A) ფრიადი –შეფასების 91-100 ქულა;
ბ) (B) ძალიან კარგი – მაქსიმალური შეფასების 81-90 ქულა;
გ) (C) კარგი – მაქსიმალური შეფასების 71-80 ქულა;
დ) (D) დამაკმაყოფილებელი – მაქსიმალური შეფასების 61-70 ქულა;
ე) (E) საკმარისი – მაქსიმალური შეფასების 51-60 ქულა;
არსებობს ორი უარყოფითი შეფასება:
ვ) (FX) ვერ ჩააბარა – მაქსიმალური შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით ხელახლა გამოცდაზე გასვლის უფლება;

ნიშანი ენიჭება ქვემოთ მოცემული ცხრილის შესაბამისად:

ქულათა რაოდენობა	შეფასება	ნიშანი
91-100	ფრიადი	A
81-90	ძალიან კარგი	B
71-80	კარგი	C
61-70	დამაკმაყოფილებელი	D
51-60	საკმარისი	E
41-50	მარგინალური ჩაჭრა	FX
0- 40	ჩაიჭრა	F

FX ან F შეფასების მიღების შემთხვევაში სტუდენტი ვალდებულია ხელახლა გაიაროს Capstone პროექტი სრულად.

მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამაზე **(ნაწილი II)** სტუდენტების შეფასება ხდება 100 ქულიანი სისტემის საფუძველზე. შეფასების თითოეულ

	ფორმასა და კომპონენტს შეფასების საერთო ქულიდან (100 ქულა) განსაზღვრული აქვს ხვედრითი წილი საბოლოო შეფასებაში, რაც აისახება კონკრეტულ სილაბუსში. შეფასებათა სისტემა ითვალისწინებს ხუთი სახის დადებით შეფასებას: ა) (A) ფრიადი –შეფასების 91-100 ქულა; ბ) (B) ძალიან კარგი – მაქსიმალური შეფასების 81-90 ქულა; გ) (C) კარგი – მაქსიმალური შეფასების 71-80 ქულა; დ) (D) დამაკმაყოფილებელი – მაქსიმალური შეფასების 61-70 ქულა; ე) (E) საკმარისი – მაქსიმალური შეფასების 51-60 ქულა; არსებობს ორი უარყოფითი შეფასება: ვ) (FX) ვერ ჩააბარა – მაქსიმალური შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით ხელახლა გამოცდაზე გასვლის უფლება; ზ) (F) ჩაიჭრა – მაქსიმალური შეფასების 40 ქულა და ნაკლები, სტუდენტს მნიშვნელოვანი სამუშაო აქვს ჩასატარებელი, ანუ საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი. სტუდენტს დამატებით გამოცდაზე გასვლის უფლება აქვს მაშინ თუ მიღებული ქულა FX კატეგორიაშია. დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასება არის დასკვნითი შეფასება და აისახება საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტის საბოლოო შეფასებაში. დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასების გათვალისწინებით საგანმანათლებლო კომპონენტის საბოლოო შეფასებაში 0-50 ქულის მიღების შემთხვევაში, სტუდენტს გაუფორმდება შეფასება F-0 ქულა. F – შეფასების შემთხვევაში, სტუდენტმა განმეორებით უნდა გაიაროს სასწავლო კურსი. **სამაგისტრო ნაშრომი** ფასდება ერთჯერადად (დასკვნითი შეფასებით). სამაგისტრო ნაშრომის შეფასების მაქსიმალური ქულაა 100, მინიმალური - 51.

<table>
<tr>
<td></td>
<td>
<table>
<tr><td>ქულათა რაოდენობა</td><td>შეფასება</td><td>ნიშანი</td></tr>
<tr><td>91-100</td><td>ფრიადი</td><td>A</td></tr>
<tr><td>81–90</td><td>ძალიან კარგი</td><td>B</td></tr>
<tr><td>71–80</td><td>კარგი</td><td>C</td></tr>
<tr><td>61–70</td><td>დამაკმაყოფილებელი</td><td>D</td></tr>
<tr><td>51–60</td><td>საკმარისი</td><td>E</td></tr>
<tr><td>41-50</td><td>ვერ ჩააბარა</td><td>FX</td></tr>
<tr><td>0–40</td><td>ჩაიჭრა (სტუდენტმა ხელმეორედ უნდა გაიაროს კომპონენტი)</td><td>F</td></tr>
</table>
FX შეფასების შემთხვევაში სტუდენტს ეძლევა სამაგისტრო ნაშრომის დაცვაზე კიდევ ერთხელ გასვლის უფლება, ხოლო F შეფასების შემთხვევაში სტუდენტმა კრედიტების მისაღებად სამაგისტრო ნაშრომი ხელახლა უნდა შეასრულოს.
</td>
</tr>
<tr>
<td>**დასაქმების სფეროები**</td>
<td>მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამის ნაწილი I-ის კურსდამთავრებულები შეძლებენ იმუშაონ ქვეყნის, რეგიონის და საერთაშორისო სტრატეგიულად მნიშვნელოვან საკითხებზე ფინანსების სფეროში, ისეთ ორგანიზაციებში როგორიცაა ცენტრალური ბანკები, საერთაშორისო ფინანსური ინსტიტუტები, სუვერენული და კერძო საინვესტიციო ფონდები და სხვა საჯარო და კერძო სტრუქტურები, როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე საერთაშორისო შრომის ბაზარზე.

მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამის ნაწილი II-ის კურსდამთავრებულები შეძლებენ იგივე სფეროებში დასაქმებას, როგორც ნაწილი I-ის კურსდამთავრებულები, ამასთანავე, კვლევითი და საკონსულტაციო მიმართულებით მუშაობას.</td>
</tr>
<tr>
<td>**სწავლის გაგრძელების პერსპექტივა**</td>
<td>მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამის **ნაწილი I-ის კურსდამდავრებულები შეძლებენ სწავლა გააგრძელონ** საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში ამავე დარგის მაგისტრატურის საგანმანათლებლოს პროგრამის ნაწილი II-ზე; ასევე სურვილის შემთხვევაში, სხვა ქვეყნის უმაღლეს საგანმანათლებლო</td>
</tr>
</table>

	დაწესებულებებში ამავე დარგის/მომიჯნავე სამაგისტრო პროგრამაზე. მაგისტრატურის **ნაწილი II კურსდამდავრებულებს** შესაძლებლობა ექნებათ სწავლა გააგრძელონ სადოქტორო პროგრამაზე ფინანსების ან მასთან დაკავშირებული დისციპლინის მიმართულებით როგორც საქართველოში, ასევე სხვა ქვეყნის უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში.
სწავლის საფასური საქართველოს მოქალაქე და უცხო ქვეყნის მოქალაქე სტუდენტებისათვის	სწავლის საფასური • საქართველოს მოქალაქის სწავლას სრულად აფინანსებს სახელმწიფო; • უცხო ქვეყნის მოქალაქეებისთვის, რომლებიც ირიცხებიან საერთო სამაგისტრო გამოცდების გარეშე: $4000 ექვივალენტი ლარში.
პროგრამის განხორციელებისათვის საჭირო ადამიანური და მატერიალური რესურსი	პროგრამა სასწავლო და სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტების შესაბამისად უზრუნველყოფილია მაღალკვალიფიციური აკადემიური, ადმინისტრაციული პერსონალით, ასევე, მატერიალურ-ტექნიკური რესურსებით. პროგრამა დაკომპლექტებულია დოქტორის ხარისხის მქონე ქართველი და უცხოელი აკადემიური და მოწვეული პერსონალით, რომელთაც განათლება მიღებული და ხარისხი მოპოვებული აქვთ მსოფლიოს წამყვან უნივერსიტეტებში და გააჩნიათ პროგრამის შესაბამისი პროფილით აკადემიური მოღვაწეობის მრავალწლიანი წარმატებული გამოცდილება. წარმოდგენილი პროგრამა ეფუძნება როგორც ახლად მოზიდულ აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს, ასევე ISET-ში უკვე მოღვაწე ქართველ და უცხოელ მაღალკვალიფიციურ აკადემიურ პერსონალს. ასევე პროგრამა განხორციელდება იმ არსებულ ინსტიტუციურ სტრუქტურასა და რესურსებზე დაყრდნობით, რომელთა მაღალმა სტანდარტმა უზრუნველჰყო ISET-ის როგორც საერთაშორისო სკოლის მაღალი რეპუტაცია და მისი საგანმანათლებლო პროგრამების წარმატებული მიმდინარეობა და შედეგები, მათ შორის, სკოლის ადმინისტრაციული, ტექნიკური, საბიბლიოთეკო, სასწავლო რესურსები და კომპიუტერული და ტექნოლოგიური აღჭურვილობა. ISET - ის ადმინისტრაციული პროცესების, პროცედურების და რესურსების მაღალი სტანდარტი გარკვეულწილად დადასტურებულია სკოლის არსებული ორი აკადემიური პროგრამის საერთაშორისო აკრედიტაციით. პროგრამის ადმინისტრირებაში სრულად და ტოლფასადაა ჩართული ISET - ის ადმინისტრაცია - აკადემიურ საქმეთა

	დეპარტამენტი, კომუნიკაციებისა და საგარეო საქმეთა დეპარტამენტი, IT განყოფილება, ფინანსური დეპარტამენტი და სკოლის დირექტორატი.
პროგრამის ფინანსური უზრუნველყოფა	საქართველოს მოქალაქის სწავლას სრულად აფინანსებს სახელმწიფო
დამატებითი ინფორმაცია (საჭიროების შემთხვევაში)	ბოლო წლებში საქართველოს ფინანსურმა სექტორმა მნიშვნელოვანი განვითარება განიცადა. საპენსიო რეფორმის დანერგვამ და საპენსიო ფონდის ჩამოყალიბებამ, კაპიტალის ბაზრის დახვეწამ და სადაზღვევო სექტორის გაფართოებამ ხელი შეუწყო ფინანსების სფეროში მაღალკვალიფიციურ სპეციალისტებზე მოთხოვნის ზრდას. ამ მოთხოვნის დაკმაყოფილება საჭიროებს კომპეტენციების უნიკალურ კომბინაციას, რაც მოიცავს მაკროეკონომიკური და მონეტარული პოლიტიკის ცოდნას, მოწინავე რაოდენობრივ და ანალიტიკურ უნარებს, ექსპერტიზას ფინანსურ შეფასებასა და კორპორატიულ ფინანსებში, რისკების მართვის შესაძლებლობებსა და ქცევითი ფინანსების გაგებას. სერტიფიცირებულ ფინანსურ ანალიტიკოსთა (CFA) პროგრამა ფართოდ არის აღიარებული, როგორც წამყვანი გლობალური ჩარჩო მსგავსი ცოდნისა და უნარების განვითარებისთვის. CFA ინსტიტუტი (CFA Institute) საერთაშორისო დონეზე მიჩნეულია ერთ-ერთ ყველაზე პრესტიჟულ პროფესიულ ორგანიზაციად საინვესტიციო მენეჯმენტისა და ფინანსური მომსახურების ინდუსტრიაში. იგი გასცემს გლობალურად აღიარებულ სერტიფიცირებული ფინანსური ანალიტიკოსის (CFA) კვალიფიკაციას. CFA-ის ტიტულის მოსაპოვებლად კანდიდატებმა დამოუკიდებლად უნდა გაიარონ მკაცრი და ყოვლისმომცველი სასწავლო კურსი, რომელიც ეფუძნება CFA პროგრამის კურიკულუმს და მოიცავს თემების ფართო სპექტრს ინვესტიციებისა და ფინანსების სფეროში. კვალიფიკაციის მისაღებად კანდიდატებს, როგორც წესი, მოეთხოვებათ გამოცდების სამი თანმიმდევრული დონის ჩაბარება. ფინანსური განათლების მაღალი ხარისხის ხელშეწყობის მიზნით, CFA ინსტიტუტი აკადემიურ ინსტიტუციებს სთავაზობს შესაძლებლობას, თავიანთი სასწავლო პროგრამები შეუსაბამონ CFA პროგრამას და გახდნენ ინსტიტუტის აფილირებული წევრები. მსოფლიოს მრავალმა წამყვანმა უნივერსიტეტმა თავის აკადემიურ პროგრამებში CFA კურიკულუმის მნიშვნელოვანი ნაწილის ინტეგრირება მოახდინა. ეს განსაკუთრებით თვალსაჩინოა იმ ქვეყნებში, სადაც ფინანსურმა სექტორმა სწრაფი ზრდა განიცადა და სულ უფრო მეტად ინტეგრირდება გლობალურ ფინანსურ

	ბაზრებზე, მათ შორის ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის რამდენიმე ქვეყანაში. ამ ქვეყნების უნივერსიტეტები სულ უფრო ხშირად ნერგავენ CFA-სთან აფილირებულ კურიკულუმებს, რათა კურსდამთავრებულები აღჭურვონ ინვესტიციებისა და ფინანსების სფეროში საერთაშორისოდ აღიარებული ცოდნითა და უნარებით. საქართველოში საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი ფინანსური განათლების უზრუნველსაყოფად, ISET-ის ფინანსების სამაგისტრო პროგრამა მოიცავს CFA ინსტიტუტის „ოქროს სტანდარტის“ კურიკულუმს და ფარავს CFA პროგრამის კანდიდატის ცოდნის ბაზის (Candidate Body of Knowledge) დაახლოებით 70%-ს. ამ საფუძველს ავსებს საერთაშორისოდ აღიარებული კურსები, რომლებიც მორგებულია ქართულ და რეგიონულ კონტექსტს. CFA-ს კურიკულუმთან პროგრამის შესაბამისობამ მას საშუალება მისცა 2024 წელს მოეპოვებინა CFA ინსტიტუტის აფილირება (CFA Institute Affiliation), რითაც გახდა პირველი და ერთადერთი აკადემიური პროგრამა საქართველოში, რომელმაც ეს აღიარება მოიპოვა. CFA ინსტიტუტის აფილირება მინიჭებული აქვს მსოფლიოს მრავალი წამყვანი უნივერსიტეტის აკადემიურ პროგრამას, მათ შორის ოქსფორდის უნივერსიტეტს, ნიუ-იორკის უნივერსიტეტს, მასაჩუსეტსის უნივერსიტეტს, სან-დიეგოს უნივერსიტეტსა და სხვა უამრავ საერთაშორისოდ აღიარებულ ინსტიტუციას. აღნიშნული აფილირება ადასტურებს, რომ პროგრამის სასწავლო კურიკულუმი მჭიდროდ არის შესაბამისობაში იმ ცოდნასთან, უნარებსა და ეთიკურ სტანდარტებთან, რაც მოეთხოვებათ პროფესიონალებს გლობალურ ფინანსურ და საინვესტიციო ინდუსტრიაში.

ფაკულტეტი: ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი
ინსტიტუტი/დეპარტამენტი/კათედრა/მიმართულება: თსუ ეკონომიკის საერთაშორისო სკოლა (ISET)
საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება: ფინანსები (ინგლისურენოვანი)
სწავლების საფეხური: მაგისტრატურა
კრედიტების რაოდენობა: 60 ECTS
საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი/ ხელმძღვანელები/ კოორდინატორი: დოქტორი, თეიმურაზ გოგსაძე
საგანმანათლებლო პროგრამის თანახელმძღვანელი: დოქტორი, ლევან ეფრემიძე
აკადემიური საბჭოს მიერ სასწავლო პროგრამის დამტკიცების თარიღი, დადგენილების ნომერი: 17/12/2024, N: 1619812; (ცვლილება: დადგენილება №44, 22.06.2026)
სასწავლო პროგრამის (ნაწილი I) ამოქმედების თარიღი (სასწავლო წელი): 2026-2027 სასწავლო წელი;

პროგრამის სტრუქტურა **ნაწილი I**										
სასწავლო კურსების/მოდულების ტიპი: საფაკულტეტო/სავალდებულო/არჩევითი										
N	**კოდი**	**სასწავლო კურსის სახელწოდება**	**ECTS**	**სტუდენტის საკონტაქტო საათები**		**სასწავლო კურსზე დაშვების წინაპირობა**	**სასწავლო ტრიმესტრი**			**სასწავლო კურსის ლექტორი**
				ლექცია	**პრაქტიკუმი**		**I**	**II**	**III**	
სავალდებულო სასწავლო კურსი										
1	QMF 1	რაოდენობრივი მეთოდები ფინანსებისთვის 1	4	11	22	წინაპირობის გარეშე	I			აკაკი ლიქოკელი
2	ECF 1	ეკონომიკა ფინანსისტებისთვის 1	5	22	11	წინაპირობის გარეშე	I			მარიამ ხარაიშვილი
3	FMA	ფინანსური და მმართველობითი აღრიცხვა	5	11	22	წინაპირობის გარეშე	I			ლაშა კელიხაშვილი
4	AWPCS	აკადემიური წერა და პროფესიული	5	22	11	წინაპირობის გარეშე	I			ენდრიუ ჰარგრივსი,

		კომუნიკაციის უნარები								თამარ კარბაია
5	FRA 1	ფინანსური ანგარიშგება და ანალიზი 1	5	16.5	16.5	ფინანსური და მმართველობითი აღრიცხვა		II		ლაშა კელიხაშვილი
6	QM F 2	რაოდენობრივი მეთოდები ფინანსებისთვის 2	4	11	22	რაოდენობრივი მეთოდები ფინანსებისთვის 1		II		აკაკი ლიქოკელი
7	ECF 2	ეკონომიკა ფინანსისტებისთვის 2	5	22	11	ეკონომიკა ფინანსისტებისთვის 1		II		მარიამ ხარაიშვილი
8	CF 1	კორპორატიული ფინანსები 1	5	16.5	16.5	ფინანსური და მმართველობითი აღრიცხვა		II		იან-ჰენდრიკ მეიერ
9	FRA 2	ფინანსური ანგარიშგება და ანალიზი 2	5	16.5	16.5	ფინანსური ანგარიშგება და ანალიზი 1			III	ლაშა კელიხაშვილი
10	VF	სასესხო ინსტრუმენტების შეფასება	5	22	11	ფინანსური ანგარიშგება და ანალიზი 1, კორპორატიული ფინანსები 1, რაოდენობრივი მეთოდები ფინანსებისთვის 2			III	აკაკი ლიქოკელი
11	VB	ბიზნესის შეფასება	5	11	22	ფინანსური ანგარიშგება და ანალიზი 1, კორპორატიული ფინანსები 1, რაოდენობრივი მეთოდები ფინანსებისთვის 2			III	ლევან ეფრემიძე
12	CP	Capstone პროექტი „შემაჯამებელი პროექტი“	7		100	ეკონომიკა ფინანსისტებისთვის 1; ფინანსური და			III	ლევან ეფრემიძე, ნიკა კილაძე

						მმართველობითი აღრიცხვა; აკადემიური წერა და პროფესიული კომუნიკაციის უნარები; კორპორატიული ფინანსები 1; ფინანსური ანგარიშგება და ანალიზი 1.				

პროგრამის ხელმძღვანელის/ხელმძღვანელების/კოორდინატორის ხელმოწერა: _ თ. გოგსაძე _____

ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის ხელმოწერა: _____

ფაკულტეტის სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის უფროსის ხელმოწერა: _____

ფაკულტეტის დეკანის ხელმოწერა: _____

უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის ხელმოწერა: _____

თარიღი ფაკულტეტის ბეჭედი

სასწავლო გეგმა

ფაკულტეტი: ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი
ინსტიტუტი/დეპარტამენტი/კათედრა/მიმართულება: თსუ ეკონომიკის საერთაშორისო სკოლა (ISET)
საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება: ფინანსები (ინგლისურენოვანი)
სწავლების საფეხური: მაგისტრატურა
კრედიტების რაოდენობა: 60 ECTS
საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი/ ხელმძღვანელები/ კოორდინატორი: დოქტორი, თეიმურაზ გოგსაძე
საგანმანათლებლო პროგრამის თანახელმძღვანელი: დოქტორი, ლევან ეფრემიძე
აკადემიური საბჭოს მიერ სასწავლო პროგრამის დამტკიცების თარიღი, დადგენილების ნომერი: 17/12/2024, N: 1619812; (ცვლილება: დადგენილება №44, 22.06.2026)
სასწავლო პროგრამის (ნაწილი II) ამოქმედების თარიღი (სასწავლო წელი): 2027-2028 სასწავლო წელი;

პროგრამის სტრუქტურა **ნაწილი II**										
სასწავლო კურსების/მოდულების ტიპი: საფაკულტეტო/სავალდებულო/არჩევითი										
N	**კოდი**	**სასწავლო კურსის სახელწოდება**	**ECTS**	**სტუდენტის საკონტაქტო საათები**		**სასწავლო კურსზე დაშვების წინაპირობა**	**სასწავლო ტრიმესტრი**			**სასწავლო კურსის ლექტორი**
				ლექცია	**პრაქტიკუმი**		**I**	**II**	**III**	
სავალდებულო სასწავლო კურსი										
1	ECF 3	ეკონომიკა ფინანსისტებისთვის 3	5	22	11	წინაპირობის გარეშე	I			მარიამ ხარაიშვილი
2	IPM	საინვესტიციო პორტფელის მართვა	4	22	11	წინაპირობის გარეშე	I			გიორგი დანელია
3	EPSII	ეთიკური და პროფესიული სტანდარტები საინვესტიციო ინდუსტრიაში	5	22	11	წინაპირობის გარეშე	I			ბაქარი ბარათაშვილი
4	FMI	ფინანსური ბაზრები და ინსტიტუტები	5	22	11	წინაპირობის გარეშე	I			სოფიო ბიწაძე

5	CF 2	კორპორატიული ფინანსები 2	5	16.5	16.5	წინაპირობის გარეშე		II		იან-ჰენდრიკ მეიერ
6	RM	რისკების მართვა	5	22	11	ფინანსური ბაზრები და ინსტიტუტები		II		გიორგი მიხელიძე
7	QMF 3	რაოდენობრივი მეთოდები ფინანსებისთვის 3 – მონაცემთა ვიზუალიზაცია	4	11	22	წინაპირობის გარეშე		II		კარინე ტოროსიან
8	RD	კვლევის დიზაინი	4	22	11	წინაპირობის გარეშე		II		ზურაბ აბრამიშვილი
არჩევითი სასწავლო კურსი										
სტუდენტები ქვემოთ ჩამოთვლილი არჩევითი კურსებიდან ირჩევენ ორ კურსს (8 ECTS, თითოეული 4 ECTS კრედიტის მოცულობით)										
9	EPM	კაპიტალი პორტფელის მენეჯმენტში	4	22	11	წინაპირობის გარეშე	I			ნიკა კილაძე
10	WM	სიმდიდრის მენეჯმენტი	4	22	11	წინაპირობის გარეშე		II		სოფიო ბიწაძე
11	AMIP	აქტივების მართვის ინდუსტრია და პროფესიონალიზმი	4	22	11	ეთიკური და პროფესიული სტანდარტები ინვესტიციების ინდუსტრიაში		II		დავით ასლანიშვილი
12	EFI	ეთიკა ფინანსურ სექტორში	4	22	11	წინაპირობის გარეშე		II		ბაქარი ბარათაშვილი
13	FIPM	ფიქსირებული შემოსავალი პორტფელის მენეჯმენტში	4	22	11	საინვესტიციო პორტფელის მართვა			III	აკაკი ლიქოკელი
14	AI	ალტერნატიული ინვესტიციები	4	22	11	წინაპირობის გარეშე			III	გიორგი დანელია
15	BF	ქცევითი ფინანსები	4	22	11	საინვესტიციო პორტფელის მართვა			III	თეიმურაზ გოგსაძე

16	RMAD	რისკების მართვა და დერივატივების გამოყენება	4	22	11	რისკების მარ			III	ოლესია ვერჩენკო
სამაგისტრო ნაშრომი										
17	MT	სამაგისტრო ნაშრომი	15			სტუდენტი უნდა იყოს დამამთავრებელ ტრიმესტრში, კვლევის დიზაინი, რაოდენობრივი მეთოდები ფინანსებისთვის 3 – მონაცემთა ვიზუალიზაცია, კორპორატიული ფინანსები 2, საინვესტიციო პორტფელის მართვა, ეთიკური და პროფესიული სტანდარტები, ფინანსური ბაზრები და ინსტიტუტები, რისკის მენეჯმენტი			III	თეიმურაზ გოგსაძე

პროგრამის ხელმძღვანელის/ხელმძღვანელების/კოორდინატორის ხელმოწერა: __ _____

ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის ხელმოწერა: _____

ფაკულტეტის სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის უფროსის ხელმოწერა: _____

ფაკულტეტის დეკანის ხელმოწერა: _____

უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის ხელმოწერა: _____

თარიღი ფაკულტეტის ბეჭედი